**საგანი:** მე და საზოგადოება
**თემა:** ჩემი ოჯახი
**კლასი:** III
**საათების სავარაუდო რაოდენობა:** 20
**სკოლა:** **„კანდიდი“**
**პედაგოგი:** **ეკატერინე ხმალაძე; რუსუდან ალუბეგაშვილი; ნინო გულაშვილი.**

**მაკროცნება/ მაკროცნებასთან დაკავშირებული კრიტერიუმი:**

| **კომპლექსური დავალებები (დასახელება)** | **სამიზნე ცნებები და ქვეცნებები** | **საკითხები** | **საკვანძო შეკითხვები** |
|---|---|---|---|
| **ფოტო კოლაჟის შექმნა ჩემს ოჯახში რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნასთან დაკავშირებით;** | **საზოგადოება** – ოჯახი | რელიგიური დღესასწაულები ჩემს ოჯახში (აღდგომა/ რამადან ბაირამი...) | რატომ აღვნიშნავთ რელიგიურ დღესასწაულს?<br>როგორ წარმოვაჩინო ფოტო კოლაჟის საშუალებით რით არის (აღდგომა/რამადან ბაირამი ...) განსაკუთრებული დღესასწაული ჩემს ოჯახში? |
| **გრძელვადიანი მიზანი**<br><br>**სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** | **საკითხი/ქვესაკითხები**<br>• რელიგიური დღესასწაულები ჩემს ოჯახში (აღდგომა/ რამადან ბაირამი ...)<br>• **ქვეცნებები:** ოჯახი | **საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები**<br>რატომ აღვნიშნავთ ოჯახში რელიგიურ დღესასწაულებს? როგორ წარმოვაჩინო ფოტო კოლაჟის საშუალებით რით არის (აღდგომა/რამადან ბაირამი...) განსაკუთრებული დღესასწაული ჩემს ოჯახში? | **შუალედური სასწავლო მიზანი**<br><br>**კომპლექსური დავალების პირობა** |
| **საზოგადოება**<br>**შედეგი:** 1, 2, 3, 10, 13, 14, 16, 17<br>1. საზოგადოების წევრებს აქვთ ერთიანობის განცდა („ჩვენ“);<br>2. საზოგადოების წევრებს აქვთ საერთო ინტერესი და საზრუნავი;<br>3. საზოგადოების წევრები თანხმდებიან ქცევის წესებსა და ღირებულებებზე. | **კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები** (რესურსები, აქტივობები):<br><br>**I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა**<br>როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?<br><br>**რესურსი/აქტივობა:**<br>**რესურსი 1.** ნახატები; ფოტოსურათები; ფოტო კოლაჟის ფოტოები;<br><br>**რესურსი 2.** „ ფოტო კოლაჟის გაკეთება PowerPoint Presentation-ში“<br>https://www.youtube.com/watch?v=fBqdyt-QUUc | | **კომპლექსური დავალება**<br><br>**ფოტო კოლაჟი – რელიგიური დღესასწაულები ჩემს ოჯახში**<br><br>ყველა ოჯახში აღინიშნება სხვადასხვა დღესასწაული. აირჩიე ერთ-ერთი რელიგიური დღესასწაული ( აღდგომა/ რამადან ბაირამი..), რომელსაც |

<table>
<tr>
<td></td>
<td>აქტივობა 1. ფოტო კოლაჟის, ნახატებისა და სურათების შედარება და მახასიათებლების გამოკვეთა.<br><br></td>
<td>განსაკუთრებულად აღნიშნავენ შენს ოჯახურ გარემოში. მოამზადე ფოტო კოლაჟი, როგორ ემზადებით და აღნიშნავთ ოჯახში ამ დღესასწაულს.<br><br>ნაშრომში/ ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:<br>● რა არის შენი და შენი ოჯახის წევრების საერთო საზრუნავი და ინტერესი რელიგიური დღესასწაულის მზადების პროცესში? (მ.წ.1) (მ.წ.2)<br>● რით არის განსაკუთრებული, სხვებისგან განსხვავებული, განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი თქვენს ოჯახში ამ რელიგიური დღესასწაულის (აღდგომის/ რამადან ბაირამის..) აღნიშვნის ტრადიცია. (მ.წ.3)<br><br>მაკროცნება და მასთან დაკავშირებული კრიტერიუმი:</td>
</tr>
</table>














С Юбилеем!



| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები<br><br>**ქვეცნება** –ოჯახი | • რა არის ფოტოებზე გამოსახული? **(რესურსი 1.)**<br>• შენი აზრით, ვინ შექმნა ეს ფოტოები? რა მიზნით შეიქმნა ისინი?<br>• რა აქვთ მათ განსხვავებული და საერთო?<br>• რით განსხვავდება ფოტო, მხატვრის მიერ შექმნილი ნახატისაგან?<br>• რა მიზნით იქმნება და გამოიყენება ფოტო კოლაჟი?<br>• რას მოგვითხრობს წარმოდგენილი ფოტო კოლაჟები?<br>• რით განსხვავდება წარმოდგენილი ფოტო კოლაჟები ერთმანეთისაგან?<br>• შენ თუ შეგიქმნია მსგავსი ფოტო კოლაჟი? გაიხსენე რა დანიშნულებისა და შინაარსის იყო ის?<br>• რა არის ფოტო კოლაჟი? რით განსხვავდება ის სურათისგან, ან ფოტოსგან?<br><br>• **როგორ შექმნი ფოტო კოლაჟს? რა უნდა გაითვალისწინო მის დასამზადებლად?**<br>• **რა ნაბიჯები უნდა გადადგა ფოტო კოლაჟის შესაქმნელად?**<br>• **კარგი ფოტო კოლაჟის შესაქმნელად როგორ შეიძლება ფოტოების დალაგება?** |

**II ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი**

**ნაბიჯი 1.** რა არის შენი და შენი ოჯახის წევრების **საერთო საზრუნავი და ინტერესი** რელიგიური დღესასწაულის მზადების პროცესში? **(მ.წ.1) (მ.წ.2)**

**რესურსი/აქტივობა:**

**რესურსი 1.** **სააღდგომო ტრადიციები**

https://www.youtube.com/watch?v=BiQR7DJDgx4

**რესურსი 2. რამადან ბაირამის დღესასწაული პანკისში**
https://www.youtube.com/watch?v=e3AVhvwyej8

**რესურსი 3 .** მოსწავლეთა მიერ მოყოლილი ამბები

**რესურსი 4.** მოსწავლეთა მიერ მოტანილი საოჯახო ფოტოები

**აქტივობა 1.** აღდგომა/რამადან ბაირამის შესახებ ვიდეოების ჩვენება და განხილვა

**აქტივობა 2. ამბავი „ფოტორეპორტაჟი“ –** რელიგიური დღესასწაულისთვის (აღდგომის/რამადან ბაირამის...) სამზადისი ჩემს ოჯახში. მოსწავლეები მოიტანებენ ოჯახის ფოტოს წინა წლებში რელიგიური დღესასწაულის (აღდგომის/რამადან ბაირამის...) სამზადისის შესახებ და მოჰყვებიან ამბებს.
**აქტივობა 3.** მოსწავლეები მოჰყვებიან ამბებს, რომლებიც უკავშირდება ამ დღესასწაულებს.

| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები<br><br>**ქვეცნება –**ოჯახი | • რომელი რელიგიური დღესასწაულის შესახებ გსმენია?<br>• რომელი რელიგიური დღესასწაულები აღინიშნება შენს ოჯახში განსაკუთრებულად?<br>• რომელ დღესასწაულს აღნიშნავ ყველაზე მეტად?<br>• როგორ აღნიშნავ ამ დღესასწაულს?<br>• შენ და შენი ოჯახის წევრები როგორ ზრუნავთ ამ დღესასწაულის (აღდგომის/რამადან ბაირამის..) აღსანიშნავად?<br>• რატომ ზრუნავ ამ დღესასწაულისათვის?<br><br>• სად და რა ვითარებაში აღნიშნავენ აღდგომის/რამადან ბაირამის დღესასწაულებს წარმოდგენილ ვიდეოებში? **(რესურსი 1, 2.)**<br>• რა სიმბოლოები უკავშირდება აღდგომის დღესასწაულს? |

- აღდგომის დღესასწაულზე საოჯახო სუფრას რა უნდა ამშვენებდეს? (ჯეჯილი, პასკა, წითლად შეღებილი კვერცხები) რა მნიშვნელობა აქვს თითოეულ მათგანს?
- რისი სიმბოლოა წითელი კვერცხი, პასკა, ჯეჯილი?
- როგორ აღნიშნავენ რამადან ბაირამის დღესასწაულს? რა ტრადიცია არსებობს მისი აღნიშვნისას?
- რა წესებს იცავენ მუსულმანები მარხვის პერიოდში? რამადან ბაირამის აღნიშვნისას?

- ვინ არიან შენ მიერ წარმოდგენილ ფოტოებზე აღბეჭდილი ადამიანები? (იგულისხმება მოსწავლეთა მიერ მოტანილი ფოტოები **–რესურსი 4.)**
- რა აერთიანებს ფოტოზე გამოსახულ ადამიანებს?
- რას გვიამბობს შენ მიერ წარმოდგენილი თითოეული ფოტო?
- სად, როგორ, რა ვითარებაში შეიძლება აღინიშნოს აღდგომის /რამადან ბაირამის დღესასწაული?
- როგორ შეიძლება რამდენიმე ფოტომ მოგვიყვეს ოჯახური ამბავი?
- რას შეიძლება გულისხმობდეს რელიგიური დღესასწაული ( აღდგომა/ რამადან ბაირამი...) კონკრეტულად შენი ოჯახის მაგალითზე?
- რა საერთო საზრუნავი და ინტერესები შეიძლება გამოიკვეთოს რელიგიური დღესასწაულის (აღდგომის/რამადან ბაირამის...) აღნიშვნისას შენს ოჯახში ?
- რა სახით იღებ მონაწილეობას ამ სამზადისში და რა არის შენი და შენი ოჯახის წევრების

| | |
|---|---|
| | საერთო საზრუნავი და ინტერესი დღესასწაულისთვის (აღდგომის/რამადან ბაირამის...) მზადების პროცესში?<br><br>● როგორ ფიქრობ, რომელი დღესასწაული შეიძლება იყოს ოჯახური? რატომ?<br><br>● **როგორ ასახავ ფოტო კოლაჟში ინფორმაციას შენი ოჯახისთვის განსაკუთრებული რელიგიური დღესასწაულის (აღდგომის/რამადან ბაირამის..) მზადების პროცესის შესახებ?** |

**ნაბიჯი 2.** რით არის **განსაკუთრებული, სხვებისგან განსხვავებული,** განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი თქვენს ოჯახში ამ რელიგიური დღესასწაულის (აღდგომის/ რამადან ბაირამის..) აღნიშვნის ტრადიცია. **(მ.წ.3)**

**რესურსი/აქტივობა:**

**რესურსი 1.** მოსწავლეების მიერ მოყოლილი ამბავი, იმის შესახებ თუ როგორ აღნიშნავდნენ გასულ წლებში რელიგიურ დღესასწაულს (აღდგომას/რამადან ბაირამს...) და ასევე, ოჯახში რელიგიური დღესასწაულის აღნიშვნისას განსაკუთრებით ძვირფასი, წინაპრებთან დაკავშირებული ნივთის ან ტრადიციის შესახებ;

| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები<br><br>**ქვეცნება –**ოჯახი | ● რატომ არის განსხვავებული, განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი შენს ოჯახში რელიგიური დღესასწაულის (აღდგომის/ რამადან ბაირამის...) აღნიშვნის ტრადიცია?<br><br>● რით არის განსაკუთრებული? სხვა დღესასწაულებზე მნიშვნელოვანი? |

- გაქვს  თუ არა ოჯახში რელიკვია/ტრადიცია რომელიც უკავშირდება ამ დღესასწაულს (აღდგომას /რამადან ბაირამს...)?
- რატომ უნდა შევინახო და გავუფრთხილდე რელიგურ დღესასწაულებთან (აღდგომა/რამადან ბაირამი...) დაკავშირებულ წინაპრების ნივთებს/ტრადიციას?
- რატომ გადაეცემა ეს რელიკვია/ტრადიცია თაობიდან თაობას?

- რელიგიურ დღესასწაულთან (აღდგომა /რამადან ბაირამი...) დაკავშირებული  ოჯახური ტრადიცია მოგწონს თუ არა? რატომ?
-   რომელ  ტრადიციას შეინარჩუნებდი საკუთარი ოჯახისათვის?
- რა არის ოჯახური ტრადიცია?

- **როგორ წარმოაჩენ  ფოტო კოლაჟში შენი ოჯახისთვის განსაკუთრებული დღესასწაულის  (აღდგომის/ რამადან ბაირამის..)  აღნიშვნის ტრადიციას?**
- **როგორ გამოკვეთ  შენი ოჯახისთვის ამ დღესასწაულის განსაკუთრებულ მნიშვნელობას?**

**მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროეცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები:**

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე რა პროდუქტი შექმენი;
- რა საკითხს შეეხება შენ  მიერ მომზადებული დავალება?
- ახსენი, რატომ შექმენი ფოტო კოლაჟი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ფოტო კოლაჟია?

| | | |
|---|---|---|
| | <ul><li>შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?</li><li>რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?</li><li>რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?</li><li>მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?</li><li>შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?</li></ul> | |

**მე და საზოგადოება:**

**კომპლექსური დავალების ბარათი:**

| **მიმართულება:**<br><br>**საზოგადოება - ოჯახი** | **სამიზნე ცნება:**<br><br>**ოჯახი** | **კლასი: I I I**<br>**დრო: 20 სთ** |
|---|---|---|
| **საკითხები:**<br><br>**რელიგიური დღესასწაულები ჩემს ოჯახში** | **საკვანძო კითხვები:**<ul><li>რატომ აღვნიშნავთ ოჯახში რელიგიურ დღესასწაულებს? როგორ წარმოვაჩინო ფოტო კოლაჟის საშუალებით რით არის (აღდგომა/რამადან</li></ul> | |

| | | |
|---|---|---|
| | ბაირამი...)<br>განსაკუთრებული<br>დღესასწაული ჩემს ოჯახში?<br>● | |
| **დავალების პირობა:** | **ფოტო კოლაჟი – რელიგიური დღესასწაულები ჩემს ოჯახში**<br>ყველა ოჯახში აღინიშნება სხვადასხვა დღესასწაული. აირჩიე ერთ–ერთ რელიგიური დღესასწაული ( აღდგომა/ რამადან ბაირამი..), რომელსაც განსაკუთრებულად აღნიშნავენ შენს ოჯახურ გარემოში. მოამზადე<br>ფოტო კოლაჟი, როგორ ემზადებით და აღნიშნავთ ოჯახში ამ დღესასწაულს.<br><br>**ნაშრომში/ ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>● რა არის შენი და შენი ოჯახის წევრების საერთო საზრუნავი და ინტერესი რელიგიური დღესასწაულის მზადების პროცესში?<br>(მ.წ.1) (მ.წ.2)<br>რით არის განსაკუთრებული, სხვებისგან განსხვავებული, განსაკუთრებულად | |

| | | |
|---|---|---|
| | დასამახსოვრებელი თქვენს ოჯახში ამ რელიგიური დღესასწაულის (აღდგომის/ რამადან ბაირამის..) აღნიშვნის ტრადიცია. **(მ.წ.3)** | |